საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზ. №46-ში
პოლიციის ახალი ადმინისტრავიული შენობის სრული საპროექტო
მომსახურების შესყიდვის განცხადება და ტექნიკური დავალება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი

2014 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

საკონკურსო განცხადება 3

საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა ...……....….....4

კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი ინფორმაცია ……...…….....……4

შენიშვნა 4

ტექნიკური დავალება..... 5

ხელშეკრულების პროექტი..... 7

საკონკურსო განცხადება

1. შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია **ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზ. №46-ში პოლიციის ახალი ადმინისტრავიული შენობის** საუკეთესო პროექტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 32000.00 (ოცდათორმეტი ათასი) ლარს.

4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://procurement.gov.ge).

5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე–4 ან მე–5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2014 წლის 27 თებერვლის 12:00 საათზე.

10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2014 წლის 27 თებერვლის 17:00 საათზე.

11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 27 თებერვლის 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქუჩა #8, IV სართული.
12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

13. ანგარიშსწორება გამარჯვებულ კონკურსანტთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 კალენდარულ დღეში.

საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა

1. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

- დიზაინი და საორიენტაციო პროექტი: **კოეფიციენტი – 0.8**
- საკონკურსო წინადადების ფასი: **კოეფიციენტი – 0.2**

2. შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით, კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

3. გამარჯვებულად გამოვლინდება ყველაზე მაღალი შეფასების მქონე კონკურსანტი, თუ საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება 7 ან 7 ქულაზე მაღალი ჯამური ქულა. ასეთი კონკურსანტთან გაფორმდება ხელშეკრულება. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია.

- დიზაინისა და საორიენტაციო პროექტის შესაფასებლად:
  - შენობის 3D ვიზუალი (რენდერი);
  - სართულის ესკიზური გეგმები;
  - ფასადზე გამოყენებული მასალის ჩამონათვალი;
  - ტერიტორიის კეთილმოწყობის გეგმა;
  - სამშენებლო სამუშაოების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა (არაუმეტეს 3 000 000 ლარი);
- ზოგადი ინფორმაცია
  - რეკვიზიტები დანართი №1-ს შესაბამისად;
  - საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ–ს ჩათვლით);
  - ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადების შესახებ;
  - პრეტენდენტის მიერ დაპროექტებული შენობა-ნაგებობების ფოტომასალა.

შენიშვნა: ა) დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ალბომის სახით ნაბეჭდი ვერსია A3 ფორმატზე, 3 -ეგზემპლარად ; CD- ვერსია PDF- ფორმატში - 3 ეგზემპლარად, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს;

2. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

3. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

შენიშვნა

1. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს **50 კალენდარულ დღეში** სრული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

2. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები რენდერებში.

3. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.
4. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან: ელგუჯა ჭანკოტაძეს, ტელეფონი 5(77)15-84-85. გურამ იაშვილს, ტელეფონი 5(99) 71-71-51,

ტექნიკური დავალება

პოლიციის შენობის საპროექტო საანგარიშო ფართი საორიენტაციოდ შეადგენდეს 1300მ^2 დან 1600მ^2-ს, რომელიც გადანაწილებული იქნება სამ სართულზე და ნახევარ სარდაფზე. **<u>შენობის სრული საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მომზადდეს ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზირი №46-ში არსებულ ტერიტორიაზე</u>**, ტერიტორიის ფართი შეადგენს 1483 მ^2 –ს, რომელზეც დამუშავდება ტერიტორიის კეთილმოწყობის და ზემოთაღნიშნული საპროექტო შენობის მიბმის პროექტი. ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი ითვალისწინებს: ავტო-სადგომს, ტერიტორიის ავტომატურ გამშვებ პუნქტებს, საბაღე სკამებს, ღობის მოწყობას, საფეხმავლო ბილიკებს, წყარო-შადრევნებს, მთავარ შესასვლელთან უნარშეზღუდულ პირთა პანდუსისი მოწყობას, გარე განათების ლამპიონებს და გამწვანებას.

მშენებლობის სავარაუდო ღირებულება - 3 000 000 ლარი;

<u>თანდართული დოკუმენტაცია:</u>

1. შენობაში განსათავსებელი თანამშრომლების საშტატო ნუსხა, ტერიტორიაზე სავარაუდო ავტომობილების განთავსების რაოდენობა;
2. ტერიტორიის საკადასტრო გეგმა, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო მასალა;
3. შენობის საორიენტაციო გენგეგმა და მოცულობა
4. ავტომობილების საორიენტაციო გადაადგილების სქემა ტერიტორიაზე.

შენიშვნა: მიბმულ ფაილში, სადაც წარმოდგენილია შენობის საორიენტაციო გენგეგმა მოცულიბა და ავტომობილების გადაადგილების სქემა შესაძლებელია შეიცვალოს.

<u>კონკურსის გახსნის დღეს კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:</u>

ა) შენობის 3D-ვიზუალი (რენდერი);

შენიშვნა: (ფასადზე არ უნდა იყოს ხილვადი კონდიცირების აგრეგატები)

ბ) სართულის ესკიზური გეგმები;

გ) ფასადზე გამოყენებული მასალის ჩამონათვალი; (საორიენტაციოდ ფასადზე მინა გამოყენებულ იქნას 40%)

დ) ტერიტორიის კეთილმოწყობის გეგმა;

ე) სამშენებლო სამუშაოების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა;

ვ) შესრულებული და განხორციელებული ობიქტების ფოტო მასალა (**PDF** ფორმატში);

<u>გამარჯვებული პროექტანტის მიერ წარმოსადგენი მუშა დოკუმენტაცია ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 კალენდარულ დღეში:</u>

შენობის საპროექტო სამუშაოები:

1. გეოლოგიური კვლევის დასკვნა;
2. ტოპოგადაღება;

3. ესკიზური პროექტი;
4. არქიტექტურული პროექტი;
5. ვერტიკალური გეგმარება;
6. კონსტრუქციული პროექტი;
7. სანტექნიკური პროექტი
8. ვენტილაციის პროექტი
9. გათბობა-გაგრილების პროექტი; (მოთხოვნაა ცენტრალური გათბობა და ინდივიდუალური კონდიცირება)
10. ძალოვანი ელ.ქსელის პროექტი;
11. სუსტი დენების პროექტი
    ა) სახანძრო სიგნალიზაცია
    ბ) სადამკვირვებლო კამერები
    გ) სატელეფონო ქსელი
    დ) სატელევიზიო ქსელი
    ე) კომპიუტერული და ინტერნეტ ქსელი
12. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
13. ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია:
    ა) არქიტექტურული პროექტი;
    ბ) სანტექნიკური პროექტი;
    გ) გარე ელ.ქსელების პროექტი;
    დ) დენდროლოგია;
14. მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა;
15. საპროექტო ზედამხედველობა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

ა) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ალბომის სახით ნაბეჭდი ვერსია A3 ფორმატზე 5-ეგზემპლარად

ბ) CD - ვერსია (ელექტრონული) PDF- ფაილის სახით 5-ეგზემპლარად

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები.
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

<u>კონკურსი</u>

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ---------- ---------- 2014 წ.

ერთის მხრივ შინაგან საქმეთა სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, გ. გულუას ქუჩა №10

(შემდგომში „შემსყიდველი“)

(შემსყიდველის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ - ”----------”, მის: ---.

(შემდგომში „მიმწოდებელი“)

(მომწოდებლის დასახელება და იურიდიული მისამართი)

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

შემსყიდველმა გამოაცხადა **<u>კონკურსი:</u>**

(სამუშაოს მოკლე აღწერა)

და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება სამუშაოს შესრულებაზე შემდეგ თანხაზე:

<u>ხელშეკრულების ჯამური ღირებულება: ( ) ლარი</u>.

(მიუთითეთ ხელშეკრულების თანხა ციფრებითა და სიტყვიერად)

(შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

   ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

   ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება;

გ) მომსახურების გაწევის ვადები;

დ) ტექნიკური პირობები;

ე) ხელშეკრულების საერთო პირობები;

ვ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2014 წლის .**

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები.

შემსყიდველი ორგანიზაცია:	**მიმწოდებელი ორგანიზაცია:**
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	----------
შსს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტი	

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ქ. თბილისი გ. გულუას ქ. №10. (შემდგომში შემსყიდველი)

მეორეს მხრივ შპს „----------“, მის. ----------.

(შემდგომში მიმწოდებელი)

2. **ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს _____

<u>ხელშეკრულების ღირებულებაა: ლარი.</u>

3. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

3.1. კონტროლს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით განახორციელებს სპეციალური ჯგუფი (ინსპექტირების ჯგუფი) შემოწმდება რამდენად დაცულია ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ; ფაქტიურად მიწოდების ვადა, ფორმა და ხარისხი.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

3.3. მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ;

3.4. შემსყიდველი ან მის მიერ საამისოდ შერჩეული პირი ვალდებულია მიმწოდებელთან ერთად აწარმოოს სამუშაოების შესრულებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიმდინარეობის კონტროლი;

3.5. ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს შემსყიდველის მიერ შერჩეული ინსპექტირების ჯგუფის მიერ დადასტურებული აქტი.

ინსპექტირების ჯგუფი:

1. <u>შსს სამშენებლო სამმართველოს შესაბამისი უფლებამოსილი პირი.</u>

4. **სამუშაოს შესრულების პირობები**

4.1. შესყიდვის ობიექტი (მომსახურება) ან მისის ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

4.2. შესყიდვის ობიექტის (მისის ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შემდეგ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შემდეგ დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.

4.5 მომსახურების გაწევის ვადა: <u>ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 (ორმოცდაათი) დღე.</u>

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი (სამუშაო) ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ;

5.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შემდეგ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

5.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შემდეგ დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით;

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

6.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება, მომსახურების გაწევის შემდეგ კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურების საჭირო დოკუმენტაციის **წარმოდგენიდან 20 დღეში**.

7. გარანტია.

7.1 არ ვრცელდება.

8. ფასები

8.1 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის გაზრდა დაუშვებელია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს ზემოთ აღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9.2 მიმწოდებლის მიერ ანაზღაურებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაში უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტთან მიმართებაში.

9.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

9.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.5 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მომწოდებელს საურავი ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების **0.2**%-ის ოდენობით.

9.6 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა მიუწოდებელი საქონლის ღირებულების **5%**-ის ოდენობით.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის სადაო საკითხების გადაწყვეტა მოხდება სასამართლოს გზით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 თუ მიმწოდებელი არ არის საქართველოს რეზიდენტი, ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი სადაო საკითხების განხილვა განხორციელდება საარბიტრაჟო გარჩევის გზით, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის შესახებ გაეროს საარბიტრაჟო კომისიის წესების შესაბამისად.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

11.1. **არ გამოიყენება.**

12. ხელშეკრულების შეწყვეტა.

12.1. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

12.2. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.3. შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან ცალკეული შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მიმწოდებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

13. დამატებითი პირობები

13.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეცვალოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული სამუშაოთა მოცულობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა, რის თაობაზეც მიმწოდებელს არ ექნება პრეტენზია იმ შემთხვევაში თუკი შემსყიდველი აუნაზურებს მიმწოდებელს შეცვლილ ღირებულებას;

13.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას;

13.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია;

13.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ მოხდა საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება;

13.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას;

13.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ოთხ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ,,შემსყიდველთან" და ,,მიმწოდებელთან";

13.7. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შედგენილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

შემსყიდველი ორგანიზაცია: **მიმწოდებელი ორგანიზაცია:**

შსს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტი

დირექტორი

_____ _____

ხელშეკრულების საერთო პირობები

ხელშეკრულების საერთო პირობები წარმოადგენენ სატენდერო დოკუმენტაციისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. ისინი ატარებენ ტიპიურ ხასიათს და უნდა იქნან გამოყენებული ყოველგვარი ცვლილებების გარეშე იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს შეესაბამება კონკრეტულ შესყიდვას. ნებისმიერი განსხვავებული პირობები და დამატებითი ინფორმაცია უნდა იყოს შეტანილი მხოლოდ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აფორმებს (გააფორმა) შემსყიდველთან ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებაში მითითებულ სტანდარტებს.

3. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებები

3.1 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში და/ან ტექნიკურ დავალებაში ასახული შესაბამისი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1 მომსახურების გაწევა ხორციელდება მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით. ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში დაფიქსირებული პერიოდულობით (ვადებში) შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.

5.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. დაზღვევა (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)

6.1 მიმწოდებლი ვალდებულია დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიმწოდებლის და/ან სუბ-კონტრაქტორის პერსონალი და სხვა) ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების

შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილი, პირობები, ეტაპები და წესი ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

7.5 შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ შუალედური კონტროლის შედეგები იყო დადებითი.

8. გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გაწეული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.

8.2 ამ გარანტიის კონკრეტული პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით.

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

8.4 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული ფორმითა და ვადებში მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

9.2 მიმწოდებლის წერილობით მოთხოვნას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული დოკუმენტაცია.

10. ანგარიშსწორების ვალუტა

10.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში (თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტია).

10.2 ანგარიშსწორება განხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ საანგარიშსწორებო ვალუტაში მისი ლართან მიმართებაში დაფიქსირებული კურსით.

11. ფასები

11.1 მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

11.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, ან ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით, მხოლოდ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებულ შემთხვევებში და ზომით.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. უფლებების გადაცემა

13.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

14. სუბკონტრაქტორები

14.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში მითითებული მონაცემების მიხედვით.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

14.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

14.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

15.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

16. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

16.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო. (გარანტირების მექანიზმის გამოყენება სავალდებულოა თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 200 000 ლარს და გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტს და არ უნდა იყოს 2 პროცენტზე ნაკლები). იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომელთა დადგომა გამოიწვევს მიმწოდებლისათვის გარანტიის დაუბრუნებლობას და აღნიშნულ გარემოებათა დადგომის გამო შემსყიდველისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით საგარანტიო თანხის გამოყენების წესი განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

16.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

16.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

17. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

17.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

17.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

18. ხელშეკრულების შეწყვეტა

18.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

18.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

18.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

18.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

18.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

19. ფორს-მაჟორი

19.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

19.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

19.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

20. სადაო საკითხების გადაწყვეტა

20.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

20.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

21. გამოყენებული სამართალი

21.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

22. ხელშეკრულების ენა

22.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

23. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

23.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

23.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

24. გადასახადები და ბაჟები

24.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, დაბეგვრის თანხის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში.

24.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

„დანართი №1"

1. პრეტენდენტის იურიდიული ფირმის დასახელება;

ხელმძღვანელის სახელი და გვარი;

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი;

საიდენტიფიკაციო კოდი;

ბანკის კოდი;

ანგარიშის ნომერი;

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი;

ელექტრონული მისამართი;

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი